უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი №18

ქ. თბილისი 29.09.2018

სხდომას ესწრებოდნენ:

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

დავით აფრასიძე - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, საბჭოს თავმჯდომარე;
ნუგზარ სხირტლაძე - შპს კავკასიის უნივერსიტეტის ვიცე-პრეზიდენტი სასწავლო დარგში, პროფესორი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
მაკა გველესიანი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი, საბჭოს მდივანი;
დავით ბედოშვილი - ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის მიწადმოქმედების ინსტიტუტის დირექტორი;
ირაკლი ღარიბაშვილი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის დირექტორი;
რიმა ბერიაშვილი - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი, პროფესორი;
ლევან იმნაიშვილი - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმატიკისა და მართვის ფაკულტეტის კომპიუტერული ინჟინერიის დეპარტამენტის უფროსი, პროფესორი;
რამაზ საყვარელიძე - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორი;
კონსტანტინე სირბილაძე - სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
თამარ იოსელიანი - სსიპ - საქართველოს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორი;
ნოდარ შურღაია - შპს „დასაქმების სააგენტო ეიჩარის" დირექტორი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:
ლაშა მარგიშვილი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
მარიამ ღამბაშიძე - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სამმართველოს სპეციალისტი.

საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:
სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი:
გიგა ზედანია - რექტორი;
ნინო დობორჯგინიძე - რექტორის მოადგილე;
დიმიტრი ჯაფარიძე - წარმომადგენლობითი საბჭოს თავმჯდომარე;

ნინო ჟვანია - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
მარიამ დალაქიშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
გიორგი გვალია - მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის დეკანი;
ქეთევან ლაკირბაია - ადმინისტრაციის უფროსი;
გიორგი პაპავა - ბიზნეს სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;
დალი ქციტიშვილი - იურიდიული სამსახურის უფროსი;
ქეთევან გრიგოლია - ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის უფროსი;
ქეთევან დარახველიძე - განვითარების სამსახურისუფროსი;
თამარ მაჭავარიანი - სტრატეგიული განვითარების სამსახურის კონსულტანტი;
კონსტანტინე ჩოკორაია - სამართლის სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
თეონა ყაველაშვილი - ბიბლიოთეკის დირექტორი;
მაკა ლაშხია - მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
ელენე ჟურავლიოვა - საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და საინჟინრო ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
ეკატერინე გაფრინდაშვილი - ბიუჯეტირებისა და ფინანსური ანალიზის სამსახურის უფროსი;
სალომე ბილანიშვილი - საგარეო ურთიერთობები სამსახურის უფროსი.

საბჭოს სხდომა დაიწყო 14:15 საათზე. საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 22-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, სხდომას უხელმძღვანელა თავმჯდომარემ, დავით აფრასიძემ.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან სხდომას ესწრებოდა საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა ავტორიზაციის დებულების 24-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. შუამდგომლობა წარდგენილ არ იქნა. შესაბამისად, საბჭომ ერთხმად დაამტკიცა წარმოდგენილი სხდომის დღის წესრიგი.

1. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ჰქონდა თუ არა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თვითაცილება განაცხადა საბჭოს თავმჯდომარემ, დავით აფრასიძემ. შესაბამისად, ავტორიზაციის დებულების 22-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, სხდომას უხელმძღვანელა ნუგზარ სხირტლაძემ.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, დაწესებულების მიერ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე შედგენილ არგუმენტირებულ პოზიციასა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

საბჭოს წინაშე ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები Skype-ის მეშვეობით წარმოადგინა საერთაშორისო ექსპერტმა ჟაკ ლარანესმა.

- გაუმჯობესდეს სწავლის შედეგების ფორმულირება და შინაარსი, სწავლის შედეგებზე ორიენტირებულ მიდგომაზე მეტი აქცენტირებით (პედაგოგიური პრაქტიკის რეფლექსიაზე მეტი აქცენტით). დამყარდეს უფრო მკაფიო კავშირი შერჩეულ სწავლების მეთოდებსა და სწავლის შედეგებს შორის;
- მოხდეს სტაჟირებისა და პრაქტიკის კომპონენტების მონიტორინგის მექანიზმებისა და მეთოდების დაზუსტება და მკაფიო დეტალიზაცია, რომლებიც წარმოადგენენ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ შეთავაზებული საგანმანათლებლო პროგრამების მნიშვნელოვან ნაწილს;
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ადამიანური რესურსების სტრატეგიის წარმატებით განსახორციელებლად და საერთაშორისო პრაქტიკების თანახმად, უნდა გაიზადოს HR დეპარტამენტის თანამშრომელთა რაოდენობა;
- გაუმჯობესდეს საკვალიფიკაციო მოთხოვნების აღწერა ყველა პოზიციისათვის;
- გაუმჯობესდეს ტრენინგებისა და განვითარების პროგრამები საქმიანობის შემდგომი შეფასებისა და პოზიციის საჭიროებების საფუძველზე.

საბჭოს წევრი, ლევან იმნაიშვილი, დაინტერესდა, თუ რა განასხვავებს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს საქართველოს სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებისგან.

დაწესებულების რექტორის, გიგა ზედანიას განცხადებით, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი დაფუძნებულია ჰუმბოლტიანურ მოდელზე, რაც გულისხმობს სწავლისა და კვლევის, ზოგადი განათლების სპეციალიზაციის, უნივერსალურისა დ ლოკალურის ერთიანობას. შესაბამისად, აღნიშნული ერთიანობა საფუძვლად უდევს დაწესებულების 3 მთავარ პრინციპს, რომელიც გულისხმობს ცოდნის გამომუშავებას, გადაცემასა და გამოყენებას. აღნიშნულიდან გამომდინარე,

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი პოზიციონირებულია, როგორც კლასიკური ჰუმბოlტიანური ტიპის უნივერსიტეტი. ამასთანავე, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი კვლევითი მიმართულებით, როგორც საქართველოს, ასევე რეგიონალურ კონტექსტში, ერთ-ერთი პრესტიჟული სამეცნიერო რანგირების მიხედვით, პირველ ადგილზეა რეგიონში. დაწესებულება თავს მიიჩნევდა ახალგაზრდა უნივერსიტეტად, რომელიც გამოთქვამდა მზადყოფნას შიდა და გარე გამოწვევების დასაძლევად.

საბჭოს წევრი, ლევან იმნაიშვილი, დაინტერესდა, თუ რა იგულისხმება რეგიონში. დაწესებულების რექტორის, გიგა ზედანიას, განცხადებით, რეგიონში მოიაზრება სამხრეთ კავკასია.

საბჭოს წევრი, კონსტანტინე სირბილაძე დაინტერესდა დაწესებულების სტრატეგიული განვითარების გეგმის ძირითადი მიზნებით, კერძოდ, კვლევის მიმართულებით.

დაწესებულების პრორექტორის, განცხადებით, ილიას სახემწიფო უნივერსიტეტი არის კვლევითი უნივერსიტეტი, რომელიც SCOPUS-ის მონაცემებით რეგიონში კვლევითი მიმართულებით არის ლიდერი საგანმანათლებლო დაწესებულება. სტრატეგიული განვითარების გეგმით დაწესებულება გეგმავდა რეგიონის მასშტაბის გაფართოებას, წარმატებული კვლევების დაფინანსებას, საქართველოს განვითარებისთვის მნიშვნელოვანი კვლევების განვითარებასა და ბავშვის განვითარების მიმართულებით კვლევების ხელშეწყობას. ამასთანავე, მნიშვნელოვანია აღინიშნოს საერთაშორისო სადოქტორო სკოლა, რომელიც სტუდენტებს აძლევდა ორმაგი ხარისხის მიღების შესაძლებლობას.

სხდომის თავმჯდომარე დაინტერესდა, თუ რამდენად ითვალისწინებდა დაწესებულების სტრატეგიული გეგმა საშუალო სკოლის მომზადების მიმართულების განვითარებას.

დაწესებულების რექტორის, გიგა ზედანიას, განცხადებით, აღნიშნული საკითხი წარმოადგენდა დაწესებულების ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს. აღნიშნული მიმართულებით დაწესებულება ახორციელებდა მასწავლებლის მომზადების პროგრამასა და განათლების ადმინისტრირების საგანმანათლებლო პროგრამებს.

საბჭოს წევრი, კონსტანტინე სირბილაძე, დაინტერესდა დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მოსაზრებით ექსპერტთა შეფასებაზე, რომლის მიხედვითაც, ქვესტანდარტი 2.2 ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები სრულ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, ხოლო ქვესტანდარტები 3.2 საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი და 3.3. სწავლის შედეგების შეფასება, მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის, ნინო ჟვანიას განცხადებით, ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტებისა და მექანიზმების დანერგვა ახალი დაწყებულია საქართველოში, შესაბამისად, დაწესებულებაში ინტენსიურად მიმდინარეობდა აღნიშნული სტანდარტების დანერგვა. თავდაპირველად დაწესებულებამ იზრუნა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის შიდა ინფრასტრუქტურაზე, რომელიც მიმართული იქნებოდა შედეგზე ორიენტირებული შეფასების სისტემის დანერგვაზე. ერთი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა აღნიშნული სისტემის პილოტირება ცალკეულ საგანმანათლებლო პროგრამებზე. შედეგების გაანალიზების შემდგომ კი, დაგეგმილია მისი დანერგვა უნივერსიტეტის ყველა ფაკულტეტსა და პროგრამაზე.

დაწესებულების ადმინისტრაციის ხელმძღვანელის განმარტებით, დაწესებულება არ ეთანხმებოდა ექსპერტთა რეკომენდაციას ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის თანამშრომლების რაოდენობის ზრდასთან მიმართებით, რადგანაც დაწესებულება მიიჩნევდა, რომ აკადემიური პერსონალის შერჩევის პროცესში მნიშვნელოვნია, ჩართული იყოს მართვის აკადემიური ორგანოები (აკადემიური საბჭო, ფაკულტეტის საბჭო, დეკანი). აკადემიური პერსონალის აყვანის პროცესში, ადამიანური რესურსების ჩართულობა მაღალია კრიტერიუმების შემუშავების პროცესში, ხოლო უშუალოდ შერჩევის ეტაპებზე უფრო მეტად მნიშვნელოვანია მართვის აკადემიური ორგანოების ჩართულობა. შესაბამისად, ამ ეტაპზე დაწესებულება მიზანშეწონილად არ მიიჩნევდა ადამიანური რესურსების თანამშრომლების რაოდენობის ზრდას. თუმცა, აღსანიშნავია, რომ დაწესებულების სტრატეგიისა და ადამიანური რესურსების გეგმის განხორციელების პროცესში, საჭიროების შემთხვევაში, დაწესებულება მზადყოფნას გამოთქვამდა თანამშრომელთა რაოდენობის გაზრდაზე.

საბჭოს წევრი, ლევან იმნაიშვილი, დაინტერესდა პროგრამის განხორციელებაში აკადემიური და მოწვეული პერსონალის თანაფარდობით.

დაწესებულების პრორექტორის განმარტებით, აღნიშნული საკითხი დამოკიდებული იყო საგანმანათლებლო პროგრამის მიმართულებაზე. კერძოდ, მაგალითისთვის, რელიგიის კვლევების საგანამანათლებლო პროგრამის განხორციელებაში უმეტესად ჩართული იყო აკადემიური პერსონალი, მაშინ, როდესაც ბიზნეს ადმინისტრირების საგანმანათლებლო პროგრამებზე უმეტესად მოწვეული-პრაქტიკოსი პერსონალი იყო ჩართული.

სხდომის თავმჯდომარე დაინტერესდა დაწესებულების მოსაზრებით ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან მე-4 სტანდარტთან დაკავშირებული რეკომენდაციებთან მიმართებით.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნების სრულყოფასთან მიმართებით მნიშვნელოვანი იყო აღნიშნულიყო, რომ თითოეული პოზიციისთვის უნივერსიტეტში გაწერილი იყო საკვალიფიკაციო მოთხოვნების ძირითადი ჩარჩო. ყოველწლიურად, ხელშეკრულების განახლების დროს, ხდებოდა სამუშაო აღწერილობის, საკვალიფიკაციო მოთხოვნებისა და სამუშაო ანალიზის გადახედვა და დახვეწა არსებული რეალობიდან და საჭიროებებიდან გამომდინარე. ახალი პოზიციის დამატების შემთხვევაში კი ხდებოდა საკვალიფიკაციო მოთხოვნების დეტალურად გაწერა. შესაბამისად, უნივერსიტეტში საკვალიფიკაციო მოთხოვნების დახვეწა მუდმივად მიმდინარეობდა.

რაც შეეხება ტრენინგის საჭიროების განსაზღვრის პროცესს, დაწესებულების წარმომადგენლის ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი იყო, როგორც ტრენინგის საჭიროებათა კვლევა, ასევე შესრულებული სამუშაოს შეფასების შედეგები. სწორედ ამიტომ, უნივერსიტეტი ყოველწლიურად ატარებდა საჭიროებათა კვლევას, რომლის ერთ-ერთი კომპონენტი იყო ტრენინგების საჭიროება. ამასთან ერთად, დანერგვის პროცესში იყო პერსონალის შეფასების სხვადასხვა სისტემა. ამ შეფასებების შედეგები ასახული იქნებოდა ტრენინგების დაგეგმარების პროცესში.

საბჭოს წევრი, ლევან იმნაიშვილი, თანამშრომელთა შეფასებასთან მიმართებთ დაინტერესდა, მაგალითად, თუ როგორ უნდა შეფასდეს იურიდიული სამსახურის თანამშრომელი.

დაწესებულების იურიდიული სამსახურის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ დაწესებულებაში დანერგილი იყო ადმინისტარციული თანამშრომლების შეფასების სისტემა, რომლის მიხედვითაც, მაგალითად, ერთ-ერთი შეფასების მეთოდის მიხედვით, მას, როგორც სამსახურის უფროსს, აფასებდნენ უშუალოდ აღნიშნულ დეპარტამენტში დასაქმებული თანამშრომლები, ასევე სხვა სამსახურების ხელმძღვანელები, ხოლო საბოლოო შეფასებას ახორციელებდა ადმინისტრაციის ხელმძღვანელი.

საბჭოს წევრი, ლევან იმნაიშვილი, დაინტერესდა დაწესებულების კვლევითი აქტივობით.

დაწესებულების პრორექტორის, განმარტებით, დაწესებულების ერთ-ერთი პროექტი იყო გამოცემა Nature-ში გამოქვეყნებული პროფესორ თემურ ზაქარაშვილის სტატია. ზოგადად, დაწესებულებისთვის კვლევითი აქტივობის შეფასების კომპონენტი იყო არა მხოლოდ რაოდენობრივი, არამედ მისი ხარისხი და იმპაქტ-ფაქტორის მონაცემი. აქვე აღსანიშნავი იყო, რომ დაწესებულება ყოველწლიური ბიუჯეტიდან გამოყოფს 3-5%-მდე ინტერნაციონალური მასშტაბით მნიშვნელოვანი კვლევების შიდა დაფინანსებისთვის.

საბჭოს წევრი, კონსტანტინე სირბილაძე, დაინტერესდა დაწესებულების სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტების დაფინანსების საკითხით.

დაწესებულების რექტორის განმარტებით, აღნიშნული ინსტიტუტების ნაწილი ფინანსდება სახელმწიფოს მხრიდან, ნაწილს კი თავად დაწესებულება აფინანსებდა.

საბჭოს წევრი, თამარ იოსელიანი, დაინტერესდა დაწესებულების მფლობელობაში არსებული გემის საკითხით.

დაწესებულების პროერექტორის განცხადებით, აღნიშნული გემი იყო ერთადერთი გემი მთელ საქართველოში, რომელიც კვლევითი მიმართულებით გამოიყენებოდა. ლაბორატორია დამონტაჟებული იყო ფსკერზე. ამ ეტაპზე თურქეთის სახელმწიფოსთან თანამშრომლობით 2 კვლევითი პროექტი ხორციელდებოდა ამ გემზე.

საბჭოს წევრის, ირაკლი ღარიბაშვილის, განცხადებით, ექსპერტთა საბოლოო დასკვნაში ძალიან მცირე ინფორმაცია იყო დაწესებულების საბიბლიოთეკო რესურსთან და მოხმარების სტატისტიკასთან დაკავშირებით.

დაწესებულების წარმომადგენელთა განმარტებით, ექსპერტთა მხრიდან არ ყოფილა მოთხოვნა საბიბლიოთეკო რესურსთან დაკავშირებით დამატებითი ინფორმაციის მიწოდებაზე. რა თქმა უნდა, დაწესებულება აღრიცხავდა წიგნების მოხმარების სტატისტიკას. ამ საკითხთან მიმართბით, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ დაწესებულება მუდმივად ზრუნავდა ახალი საბიბლიოთეკო რესურსის განახლებაზე და ასევე, ხაზგასასმელი იყო, რომ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი იყო პირველი დაწესებულება, რომელმაც დაიწყო Tompson-ის ბაზების გამოწერა.

საბჭოს წევრი, ლევან იმნაიშვილი დაინტერესდა დაწესებულების საუკეთესო პრაქტიკის მაგალითებით.

დაწესებულების რექტორის განმარტებით, ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი იყო რამდენიმე საკითხის აღნიშვნა, კერძოდ, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი იყო პირველი საგანამანათლებლო დაწესებულება, რომელმაც იზრუნა პლაგიატისგან დაცვის ინსტიტუციურ მექანიზმზე. აღნიშნული მიზნით, შესყიდული იყო სპეციალური ელექტრონული პროგრამა და დაწესებულება დღემდე გამოცდილებას უზიარებდა სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებს. რექტორმა აღნიშნა, რომ დაწესებულებაში დანერგილი იყო აკადემიური კეთილსინდისიერების კულტურა. საუკეთესო პრაქტიკას ასევე წარმოადგენდა უნივერსიტეტის საზოგადოებრივი მისია - კერძოდ, ბავშვის განვითარების ინსტიტუტი.

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საბჭოს წევრები იზიარებდნენ ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებულ რეკომენდაციებსა და ეთანხმებოდნენ მათ მიერ განხორციელებულ შეფასებებს.

შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის ავტორიზაციის მინიჭების და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 17 770-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე -10

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 56^2 მუხლის მე-3 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, 56^3 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, 25-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-4 პუნქტის, მე-6 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს (ს/კ: 204861970) 6 წლის ვადით მიენიჭოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (უნივერსიტეტი) და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 17 770-ით.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვის შემდგომ საბჭოს სხდომა დასრულდა 16:00 საათზე.

თავმჯდომარე

დავით აფრასიძე

ნუგზარ სხირტლაძე

მდივანი

მაკა გველესიანი